კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისის ვაკის რაიონის ტერიტორიაზე დენდროლოგიური პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2013 წ

სხდომას ესწრებოდნენ:

ჰენრი დოლიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი ბეზარაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

აკაკი კობალაძე - საკონკურსო კომისიის წევრი – გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

რამაზ ლომინაძე - საკონკურსო კომისიის წევრი – აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ზურაბ ბარათაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი -აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

კონსტანტინე დიხამინჯია – საკონკურსო კომისიის წევრი - ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ, კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვაკის რაიონის ტერიტორიაზე დენდროლოგიური პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 24 სექტემბერს (14:29სთ) გამოცხადებულ (საკონკურსო განცხადების №969) კონკურსზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა და შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრის, საფინანსო –ეკონომიკური განყოფილების მთ. სპეციალისტის ნათელა ელიზბარაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე (2013 წლის 08 ოქტომბრის 12:00 საათამდე) მხოლოდ ერთი კონკურსანტის მიერ იქნა დალუქული კონვერტით წარმოდგენილი საფასურის გადახდის ქვითარი და საკონკურსო წინადადება: ფიზ/პ ლია ქურციკიძე პირადი № 01029015019 – 4 165 (ოთხი ათას ასსამოცდახუთი)ლარი.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება. განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ფიზ/პ ლია ქურციკიძეს მიერ შემოთავაზებული წინადადება შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ

მოთხოვნებს და კომისიის გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნა შეფასებაზე, სადაც კონკურსანტის წინადადება შეფასდა 10 ქულიანი სისტემით (შეფასების ცხრილები თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – ჰენრი დოლიძემ;

კომისიის წევრებმა: აკაკი კობალაძემ და კონსტანტინე დიხამინჯიამ.

შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება:

1. ფიზ/პ – ლია ქურციკიძე –შეფასდა 66,6 ქულით.

კომისიამ დაადგინა:

1. არსებული მონაცემების საფუძველზე, ქ. თბილისში, ვაკის რაიონის ტერიტორიაზე დენდროლოგიური პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: ფიზ/პ ლია ქურციკიძე პირადი № 01029015019.
2. არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.
3. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს ფიზ/პ ლია ქურციკიძეს.

კომისიის თავმჯდომარე **ჰენრი დოლიძე**

კომისიის წევრი: **გიორგი ბეზარაშვილი**

კომისიის წევრი **აკაკი კობალაძე**

კომისიის წევრი **რამაზ ლომინაძე**

კომისიის წევრი **ზურაბ ბარათაშვილი**

კომისიის წევრი **თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი**

კომისიის წევრი **კონსტანტინე დიხამინჯია**